# სამი კოსტუმი რონალდოსათვის

საშობაოდ საუკეთესო ფეხბურთელები კოსტუმებს იცვამენ და მინდვრის ნაცვლად სცენაზე გადიან. მათი კოსტუმები პროჟექტორების შუქზე ბზინავს, მაგრამ საგანგებოდ ბრწყინავს ჯილდო, რომელიც ერთ მათგანს, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს უპყრია.

მთავარი ჯილდო სამია. ერთი ინგლისური ჟურნალის „უორლდ სოკერის" მიერაა დაწესებული, მეორე ფიფასია, ხოლო მესამე ფრანგული „ფრანს ფუტბოლის". „უორლდ სოკერი" და ფიფა მსოფლიოს უძლიერესი მოთამაშის ვ?ინაობას იკვლევენ, „ფრანს ფუტბოლი" ევროპისას. „უორლდ სოკერი" გულშემატკივართა გამოკითხვას ატარებს, ფიფა ნაკრებების მწვრთნელებისას, ხოლო „ფრანს ფუტბოლი" ჟურნალისტებს ეკითხება აზრს.

ყველაზე ძველი რეფერენდუმი ფრანგულ ჟურნალს ეკუთვნის. ის მეტად პრესტიჟულია, დამკვიდრებული, სამოციანი წლებიდან იღებს სათავეს. ფიფამ ოთხმოცდაათიან წლებში დაიწყო თავისი გამოკითხვის ჩატარება, მაგრამ როგორც ყველაფერი, რასაც ხელი მოჰკიდა, ესეც ერთობ ავტორიტეტული გახადა. ამ ორთან შედარებით „უორლდ სოკერის" რეფერენდუმი ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ამ ორთან შედარებით.

სამივე გამოკითხვა საშობაოა და ამიტომაც ძველი და ახალი წლების მიჯნაზე უძლიერესი ფეხბურთელები კოსტუმებს იცვამენ, ოღონდ წლეულს... წლეულს ერთსა და იმავე ადამიანს სამჯერ მოუწევს მოკაზმვა. მის ხელში სამ ჯილდოს გააბრწყინებს პროჟექტორების შუქი.

რონალდო! მან უკვე მოიპოვა „უორლდ სოკერის" პრიზი. რონალდო! იგი „ფრანს ფუტბოლის" ჯილდოს მფლობელიც გახდა. რონალდო! უკვე ნათელია, რომ ის ფიფას მწვრთნელთა რჩეული გახდება.

ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი პირველი სამხრეთამერიკელია, რომელმაც ფრანგული ჟურნალის ცნობილი „ოქროს ბურთი" აღმართა. მან ყოველთვის იცოდა, რომ წარმატებისთვისაა დაბადებული, გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან სახელს ევროპის სტადიონებზე გაითქვამდა. მშობლიური ქალაქის ქუჩებში ბურთაობისას დაოსტატებული რონალდო ამბობს, რომ ჯიბეგამოფხეკილი და ნიჭიერი სამხრეთამერიკელი ახალგაზრდისთვის ატლანტიკის ოკეანის გადალახვა ფულისა და დიდების საძებნელად მეტად ბუნებრივი რამაა.

— მე ერთიციდა ვიყავი, როდესაც დიდ ბრაზილიელთაგან პირველებმა მიაშურეს ევროპას. ისინი იტალიელი ემიგრანტების მსგავსად საკუთარ ოცნებებს მიჰყვებოდნენ. ექვსი წლისამ გადავწყვიტე, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე „ბებერ კონტინენტს" გავემგზავრებოდი.

პირველი შესაძლებლობა რონალდოს გადაწყვეტილებიდან თერთმეტი წლის მერე მიეცა. იგი უკვე ბელო ორიზონტეს „კრუზეიროში" თამაშობდა და 60 შეხვედრაში 58 გოლი ჰქონდა გატანილი, როდესაც ჰოლანდიურმა „ეინდჰოვენმა" მიიწვია. ნიდერლანდელთა ქვეყანაში ყმაწვილმა კვლავ საოცრება ჩაიდინა, პირველობის 33 თამაშში 30 გოლი შეაგდო და ესპანურ „ბარსელონას" მიაშურა. ესპანეთშიც გაიბრწყინა ბრაზილიელის საოცარმა ნიჭმა. ლამის ყოველ მატჩში გაჰქონდა გოლი, მაგრამ ამაზე არანაკლებ მთავარი იყო ის, თუ როგორ ასრულებდა ამას.

ტიპიური გოლი — რონალდო: ის სადღაც მოედნის ცენტრში ეუფლება ბურთს, საშინელი სისწრაფით მიიწევს მოწინააღმდეგე გუნდის დაცვისკენ, გაურბის მისი წაქცევის მოსურნე რამდენიმე მეტოქეს და ბურთს მეკარის უკან, კარის ბადეში აგდებს.

ბარსელონური სეზონი, რომელიც ერთხანს ტრავმამ შეაწყვეტინა, 37 შეხვედრაში 34 გოლიანი გამოდგა. რონალდომ აღაფრთოვანა ესპანეთი, რონალდომ აღაფრთოვანა მსოფლიო და ფიფამ 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოც უძღვნა.

აქ ასპარეზზე მილანის „ინტერი" გამოჩნდა და დაიწყო დაუსრულებელი სატრანსფერო ისტორია. ფეხბურთელმა რომ შეატყო მასზე ვაჭრობას ბოლო აღარ უჩანდა, სახალხოდ დაიჩივლა, მე მხოლოდ ფეხბურთის თამაში მსურს, ხელს ნუ შემიშლითო. „რონალდოს" ფეხბურთის თამაში იტალიაში სურდა, იმ ქვეყანაში, რომლის ლიგა მსოფლიოში ყველაზე ძლიერად მიაჩნდა.

— ესპანეთის ჩემპიონატი მძაფრი იყო, მაგრამ თურმე იტალიის პირველობასთან მისი შედარებაც კი არ შეიძლება. აქ, შეუდარებლად დაძაბული შეჯიბრებაა. შინ, აუტსაიდერთან რომ თამაშობ, მაშინაც დიდი ბრძოლის გადატანა გიწევს.

მაგრამ აქ სიმძაფრეს რონალდოს გოლები არ შეუჩერებია. 19 შეხვედრაში 14 გოლი — „ინტერი" სერია A-ს ცხრილის სათავეში და უეფას თასის მეოთხედფინალშია. იტალიურ პრესაში მას „ილ ფენომენო" შეარქვეს. იგი ისევ ახალ ლიგას, ახალ მეტოქეებს, ახლებურ სტილს შეეგუა. რონალდო ისევ იმარჯვებს.

— არ მესმის ჩემით რატომ არიან ასე აღფრთოვანებული. 16 წლისა უკვე კარგად ვთამაშობდი, ღარიბი ვიყავი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. მე ჩვეულებრივ ვაგრძელებ მუშაობას და ვცდილობ მაქსიმუმი შევძლო. ბედნიერი ვარ, რომ დიდებული გუნდი ავირჩიე. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობ, რომ „ინტერში" საუცხოო ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც მე მეხმარებიან, მე კი — მათ. საუცხოოდ ვგრძნობ თავს, როგორც კლუბში, ასევე ბრაზილიის ნაკრებში.

ერთადერთი, სადაც რონალდოს ჯერ არ გაუბრწყინია, მსოფლიოს ჩემპიონატია. დიახ, ის 17 წლისა, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის წევრი იყო, მაგრამ მოედანზე ერთი წუთითაც არ შეუშვიათ და ეს მის კარიერაში უდიდესი გაწბილება გახლდათ.

უკაცრავად, ბრაზილიელ ფენომენს ევროპის ჩემპიონთა თასიც აკლია. მას უკვე მოგებული აქვს თასების თასი, „კოპა ამერიკა", ბრაზილიის, ჰოლანდიისა და ესპანეთის თასები... იტალიისა და უეფას თასზე „ინტერი" ჯერ ასპარეზობს და სავსებით რეალურია, რომ გაზაფხულზე რონალდოს კოლექციას ისინიც შეემატოს.

„სკუდეტო", იტალიის ჩემპიონობა. აი, კიდევ ერთი მიზანი. საოცარია, მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმაში რონალდო ჰყავდათ, „ეინდჰოვენმა" და „ბარსელონამ" თავიანთი ქვეყნის პირველობები ვერ მოიგეს.

— დრო ესაა ერთადერთი, რაც არასდროს მაქვს. საშობაოდ ღმერთს სწორედ დრო შევთხოვე, მაგრამ ვიცი, მასაც არ შეუძლია ამით დამაჯილდოვოს. ოჯახს ვეღარ ვხედავ, ჩემს გემოზე ვერ ვმოგზაურობ, მეგობრებთან მისასვლელად აღარ მცალია. ამ ყველაფერს მოცდა მოუწევს მანამდე, სანამ ფეხბურთს თავს დავანებებ.

უცნაურია? თუ გავითვალისწინებთ, რომ „ინტერიცა" და ბრაზილიის ნაკრების რონალდოს დროის წუთებს ითვლიან, დიდ შეჯიბრებებს კი დასასრული არ უჩანს, უცნაური არ უნდა იყოს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

GUERIN SPORTIVO

რონალდო მართლაც საუკეთესო ფეხბურთელია

# დავიცადოთ 8 იანვრამდე

ადრე გაუწყეთ, რომ ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი დუშან უჰრინი თანამდებობიდან გადადგა. ახლა მის შემცვლელზეა ლაპარაკი.

შეგახსენებთ, უჰრინის ხელმძღვანელობით ჩეხებმა ინგლისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ყველასთვის მოულოდნელად, მეორე ადგილი მოიპოვეს, თუმცა, შემდეგ, მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ციკლში ვეღარ ივარგეს და საფრანგეთის საგზურს ვერ დაეუფლნენ.



დუშან უჰრინი

გადადგომა უჰრინმა საუდის არაბეთში, კონფედერაციათა თასზე, მესამე ადგილის მოპოვების შემდეგ გამოაცხადა. ბრინჯაოსთვის მისმა გუნდმა ურუგვაის 1:0 მოუგო, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კი თავკაცმა ჟურნალისტებს ამცნო, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ერთ-ერთ კლუბს უნდა ჩავუდგე სათავეშიო.

უჰრინის მიერ განთავისუფლებული თანამდებობის ყველაზე სასურველ კანდიდატებად, უპირველეს ყოვლისა, პრაღის „სპარტას" ხელმძღვანელი იოზეფ ჩოვანეცი და ავსტრიულ „ტიროლში" მომუშავე ფრანტიშეკ სიპრო დაასახელეს, თუმცა ორივემ თავი შეიკავა. მათ თქვეს, არა გვგონია, ჩვენმა ახლანდელმა კლუბებმა იოლად დაგვთმონო.

— ნამდვილად მიხარია, რომ ჩეხეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ფრანტიშეკ ჩეილოვსკიმ ჩემს მიმართ ინტერესი გამოიჩინა, მაგრამ ამჯერად სხვას ვერაფერს მოგახსენებთ. მართალია, „სპარტას" თავმჯდომარეს ივან ჰორნიკს ამ თემაზე უკვე ველაპარაკე, მაგრამ მას ქარაგმულადაც არაფერი უთქვამს. იგი ჩემი გამშვები არ ჩანს — განაცხადა ჩოვანეცმა.

სიპრომ, რომელმაც ინსბრუკში სამი თვის წინ დაიწყო მუშაობა, მანამდე კი პრაღის „სლავიას" ხელმძღვანელობდა, უფრო მკაფიოდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება შექმნილი მდგომარეობისადმი.

— ძალიან ცუდია, რომ ასეთი წინადადებით რამდენიმე თვის წინ არ მომმართეს. „ტიროლიდან" განთავისუფლების პერსპექტივას ვერ ვხედავ — თქვა მან.

ასეთი ვითარების მიუხედავად, ჩეილოვსკი უჰრინის შემცვლელის ვინაობის დასახელებას 8 იანვრისთვის აპირებს. მოსალოდნელია, რომ ნაკრების მწვრთნელად დანიშნავენ ჩეხეთის 21 წლამდელთა გუნდის ხელმძღვანელს კარელ ბრუკნერს, რომელიც სადღეისოდ სიდნეის ოლიმპიადაზე ფიქრითაა დაკავებული.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ციკლში ჩავარდნის მიუხედავად, ჩეხთა ნაკრები 1997 წლის რეიტინგში მესამე ადგილზე ავიდა, ანუ 1996 წელთან შედარებით, ორი საფეხურით აინაცვლა. ბუნებრივია, ეს წარმოშობით სლოვაკი და აწგადამდგარი დუშან უჰრინის დამსახურებაა, რომელიც ახალი წლიდან ექვსი თვით, დუბაის გუნდის „ალ ნასარის" მწვრთნელი გახდება.

# გვიშველეთ, სანამ მოგვკლავენ

ესპანელ არბიტრთა შორის ყველაზე სახელოვანმა, ქვეყანაში 1997 წლის საუკეთესო მსაჯად აღიარებულმა ანტონიო ლოპეს ნიეტომ ხულიგანთა გასამართლება მოითხოვა. ლოპეს ნიეტოს, რომელმაც ზემოხსენებული აღიარების შესახებ ორშაბათს შეიტყო (ესპანეთის საუკეთესო არბიტრს სპორტული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები ასახელებენ) ჩვეულებრივ ხულიგნებთან საქმე არ აქვს, მას საფეხბურთო ხულიგნობაზე აქვს საუბარი, მათზე, ვინც თამაშების დროს არბიტრებს თავს ესხმის.

მსაჯთა ლიდერმა „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოითხოვს მისი და მის კოლეგათა დაცვის გაძლიერებას. გასულ კვირას მთელს ქვეყანას, მეტადრე კი ქვედა დივიზიონებს ვანდალიზმის საგანგებო ტალღამ გადაუარა — ერთ თანამსაჯს ტრიბუნიდან სკამიც კი გაარტყეს თავში.

— როგორც ვატყობ, ხალხი შექმნილი მდგომარეობის სირთულეს ვერ ხვდება. მაინცდამაინც უნდა მოკლან ერთ-ერთი ჩვენთაგანი, რათა რეფორმები ჩატარდეს? ბოლო ტურში, მადლობა ღმერთს, ტრაგედიას გადავურჩით, მაგრამ ქვედა დივიზიონების მსაჯები და თანამსაჯები ხომ ყოველ შაბათ-კვირას სიკვდილს ეთამაშებიან — განაცხადა ლოპეს ნიეტომ, რომელმაც მსაჯთა გაფიცვაც არ გამორიცხა.

სამი კვირის წინ ესპანეთის პირველი და მეორე დივიზიონების არბიტრებმა ერთკვირიანი საპროტესტო აქცია მოაწყვეს. მათი პროტესტის მიზეზი ფეხბურთელთა და კლუბების ხელმძღვანელთა მხრიდან გაძლიერებული სიტყვიერი შეურაცხყოფა გახლდათ. მართლაც, ევროპის ამ ქვეყანაში, სტადიონებზე, მოედნებსა და ტრიბუნებს შორის აღმართული ბადეების მიუხედავად მსაჯები ხშირად პოლიციელთა რაზმს გაჰყავს მოედნიდან. ხშირია მასობრივი არეულობანი.

— უმაღლეს დივიზიონში მომხდარი არეულობები, ქვედა დივიზიონებში ნამდვილ ძალადობას იწვევს — თქვა ლოპეს ნიეტომ.

ცნობისთვის: ესპანური კანონის თანახმად, ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა მაქსიმუმ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ლოპეს ნიეტოც სწორედ ამ კანონის ამოქმედებას ითხოვს.

# წინდახედულნი

მსოფლიოს ჩემპიონატის დანარჩენი 31 მონაწილის დარად, ხორვატებმა აქედანვე დაიწყეს მზადება ფეხბურთის უპირველესი ტურნირისთვის. ექს-იუგოსლაველები მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მონაწილეობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიანთი H ჯგუფიდან გასვლას და შემდეგ ეტაპზე მონაწილეობას გეგმავენ. ხორვატები ჯგუფურ ტურნირში არგენტინასთან, იამაიკასთან და იაპონიასთან ერთად ითამაშებენ.

რაც შეეხება ნაკრებს, გუნდის მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა გუნდში ის 30 ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაგან სამსოფლიოჩემპიონატოდ 22 კაცს შეარჩევს. ბლაჟევიჩმა განაცხადში არ შეიყვანა ნაკრების მეტად გამოცდილი მოთამაშეები — ნიკოლა იერკანი, იგორ შტიმაცი და ნიკოლა იურჩევიჩი. ამის მიზეზი ფეხბურთელთა ასაკი, ბოლოდროინდელი უსახური თამაში და მათი ახალგაზრდა, იმედისმომცემი კონკურენტები ყოფილა. შერისხული სამეულის სანაცვლოდ მწვრთნელს გუნდში პირველად მოუწვევია „რიეკას" მცველი მარიო ტოკიჩი, „კროაციას" თავდამსხმელი ნინო ბულე და „ჰაიდუკის" ფორვარდი იურიცა ვიჩკო.

ახალ მოთამაშეების მსოფლიოს ჩემპიონატამდე გამოცდა-შერჩევას ბლაჟევიჩი ხუთ ამხანაგურ მატჩში აპირებს. ის, რომ 28 მაისს ხორვატები სლოვაკებს შეხვდებიან, უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ დანარჩენი ოთხი სპარინგ-პარტნიორის ვინაობა უახლოეს მომავალში გაირკვევა — კანდიდატი რვა გუნდია: ჩეხეთი, ირლანდია, პორტუგალია, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, პარაგვაი და პოლონეთი.

რაც შეეხება 30-კაციან ნაკრებს, მისი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), ტონჩი გაბრიჩი (ჰაიდუკი), მარიან მრმიჩი (ბეშიქთაში), ვლადიმირ ვასილი (ჰრვატსკი); მცველები — რობერტ იარნი (ბეტისი), სლავენ ბილიჩი (ევერტონი), გორან იურიჩი, დარიო სიმიჩი, დანიელ სარიჩი, დამირ კრჟნარი, სტეპან ტომასი (კროაცია), ზორან მამიჩი (ბოხუმი), იგორ ტუდორი (ჰაიდუკი), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი), მარიო ტოკიჩი (რიეკა); ნახევარმცველები — ზვონიმირ ბობანი (მილანი), ალიოშა ასანოვიჩი (ნაპოლი), რობერტ პროსინეჩკი, კრუნოსლა იურჩიჩი, სილვიო მარიჩი (კროაცია), ივან იურიჩი (სევილია), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), მარიო სტანიჩი (პარმა); თავდამსხმელები — დავორ შუკერი (რეალი), ალან ბოკშიჩი (ლაციო), იგორ ცვიტანოვიჩი (სოსიედადი), ტომისლავ ერშუგი (ანკონა), იურიცა ვუჩკო, ნინო ბულე (ჰაიდუკი), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია)

## ინგლისი

### მე-20 ტურის ბოლო მატჩი

### უიმბლდონი 0:0 არსენალი

**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნსი, ბლეკველი, ტეტჩერი, ერლი, სოლბაკენი, გეილი, ჰიუზი, ერდლი**

**არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, კეონი, პარლოუ, რაიტი, ოვერმარსი, ბერხკამპი, პლატი**

ინგლისენერგო ცუდ დღეშია. ამ სეზონში უკვე მესამე შემთხვევაა, პრემიერლიგაში მატჩი დენის გამორთვის გამო რომ ჩაიშალა. პირველად ქართველთათვის კარგად ნაცნობი მოვლენა 13 აგვისტოს, ჩემპიონატის პირველ ტურში მოხდა — მაშინ „დერბი" ახალი სტადიონის, „პრაიდ პარკის" გახსნას ზეიმობდა და „უიმბლდონს" მასპინძლობდა. როცა „დერბი" 2:1 იგებდა, სტადიონი ჩაბნელდა და შეხვედრა, ცხადია, გადათამაშდა. მეორედ უშუქობამ „ვესტ ჰემი" — „კრისტალ პალასის" მატჩის ჩატარებას შეუშალა ხელი, ახლა კი კვლავ „უიმბლდონს". მოკლედ, ლონდონელი გიჟების გუნდს შუქი არ წყალობს, თუმცა, თუ პირველ შემთხვევაში „უიმბლდონს" ეს ძლიერ გაეხარდა, ამჯერად რეაქცია საპირისპირო იყო.

მიზეზი მასპინძელთა ძლიერი თამაშია. პირველივე წუთიდან „უიმბლდონი" უფრო აქტიურობდა, ვიდრე კრიზისში მყოფი „არსენალი". თანაც თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სტუმრებს დაცვის ბურჯი, ტონი ადამსი აკლდათ, მაშინ სიმენის კართან შექმნილი სახიფათო მომენტები გასაკვირი აღარ იქნება. სხვათა შორის, ინგლისის ნაკრების კაპიტანს მძიმე ტრავმა მიუღია და როდის დაუბრუნდება ფეხბურთს, მითუმეტეს ქვეყნის პირველ გუნდს, ძნელი სათქმელია. რაც შეეხება შეუწყვეტლად ჩატარებულ პირველ ტაიმს, ყველაზე სახიფათო მომენტი 22-ე წუთზე შეიქმნა, როცა სიმენთან პირისპირ გასულმა დინ ბლეკველმა კარის დალაშქვრა ვერ შეძლო.

შესვენების შემდეგ, გუნდები მინდორზე რომ უნდა განლაგებულიყვნენ, ელექროენერგია გამოირთო. ფეხბურთელებს დაცდა სთხოვეს და 20 წუთში განათებაც აღდგა, მაგრამ მალე იქაურობა კვლავ სიბნელემ მოიცვა და მეორე ტაიმისთვის განკუთვნილი დრო ფეხბურთელებმაც და მაყურებლებმაც დენის ლოდინში გაატარეს, თუმცა სასიკეთო რომ აღარაფერი მოხდა, „სელჰარსტ პარკი" დააცარიელეს.

მომხდარით აღშფოთებულმა „უიმბლდონის" მწვრთნელმა ჯო კინარმა განაცხადა, მე-20 საუკუნის მიწურულია, დენი კი ისევ ქრებაო. საინტერესოა, რას იტყოდა კინარი, საქართველოში თუნდაც ერთი კვირით რომ ეცხოვრა. რაც შეეხება „არსენალის" ფრანგ მწვრთნელ არსენ ვენგერს, უშუქობაზე მის აზრს უამრავი ქართველი დაეთანხმება — თუ „უიმბლდონს" ასე უჭირს, გენერატორები უნდა იყიდონო.



REUTERS [illegible]

„სელჰარსტ პარკი" ჩაბნელებულია. ერთი საათით ადრე ყველაფერი რიგზე იყო

# დაბოღმილი ბიჭი



„ჰაიბერი" — არსენალელი ინგლისელების და ფრანგების ბრძოლის ველი

რამდენიმე საუკუნის წინ ევროპაში გაბატონებული ფრანგები ახლანდელი ინგლისელების წინაპრებს თავს დაესხნენ და კარგა ხნის ომის შემდეგ ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. თავისუფლებისმოყვარე ბრიტანელები მონობის უღელს არ ეპუებოდნენ და დამპყრობლებს უძალიანდებოდნენ. ხშირად ჯანყდებოდნენ, მაგრამ უმეტესწილად მარცხდებოდნენ, ფრანგებსა და ადგილობრივ ხალხს შორის ბრძოლა ასწლიანი ომის სახელით შევიდა ისტორიაში. საბოლოოდ ინგლისელთა წინაპრებმა თავისუფლება ჰპოვეს...

ისტორიული გადახვევა იმიტომ დამჭირდა, რომ ახლა ლონდონის „არსენალში" ფრანგების და ინგლისელების დიდი დაპირისპირებაა, თუმცა, ცხადია, ფეხბურთელთა შუღლს ზემოხსენებულ ომთან მოთამაშეთა სამშობლოების გარდა არაფერი აკავშირებს. უბრალოდ, კვლავ მასპინძლებსა და ფრანგებს შორის მოხდა უსიამოვნება. მიზეზს არ იკითხავთ? — თურმე მოთამაშეები ერთ საერთო, ყველასთვის გასაგებ ენაზე ვერ საუბრობენ.

კლუბის მწვრთნელად ფრანგი არსენ ვენგერი რამდენიმე წლის წინ დაინიშნა. მაშინ „არსენალი" ერთ-ერთი ყველაზე ინგლისური გუნდი იყო მთელს პრემიერლიგაში, მაგრამ უცხოელი მწვრთნელის მისვლას გუნდის გაინტერნაციონალება მოჰყვა. სეზონი სეზონს მისდევდა, „არსენალის" მაისურს კი ფრანგი, ჰოლანდიელი, ნორვეგიელი, პორტუგალიელი და სხვა ქვეყნის ფეხბურთელები ირგებდნენ. ვენგერი, ცხადია, ისეთ მოთამაშეებს არ ყიდულობს, რომელიც არაფერში გამოადგებოდა. ჰოდა, ლეგიონერთა დინებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ამ სეზონში „არსენალში" ინგლისელი ფეხბურთელები ალბიონზე ჩასულებთან შედარებით ნაკლები აღმოჩნდნენ. გუნდში განსაკუთრებით მწვრთნელის თანამემამულეები, ფრანგები სჭარბობენ: ემანუელ პეტი, ჟილ გრიმანდი, ნიკოლას ანელკა, რემი გარდე, პატრიკ ვიეირა, აი, ის ხუთეული, რომელიც კლუბის ინგლისურმა საფეხბურთო თემმა ვერ აიტანა. ეს ერთობ რბილად ნათქვამია. გუნდში მტრობა ჩამოვარდა. თან თუ ფრანგებს გუნდის მწვრთნელსაც დავამატებთ, ინგლისელთა გაავების მიზეზებს შესაძლოა, ჩავწვდეთ კიდეც.

თქვენი აზრით, ვინ იქნებოდა განხეთქილების მიზეზი? რა თქმა უნდა, ლონდონელთა გადარეული თავდამსხმელი, თანაც „არსენალის" ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი, იან რაიტი. სწორედ მისი დამსახურებაა, ინგლისელებს და ფრანგებს შორის შავმა კატამ რომ გაირბინა. სწორედ მისი მეცადინეობის შედეგია, ინგლისელები ვენგერზე გულაცრუებულნი რომ არიან. ბევრი რომ არ გავაგრძელო, რაიტმა იმდენი ქნა, საქმე ლამის გუნდის გახლეჩამდე მიიყვანა. პრინციპში ამას ბევრი არც არაფერი უკლია — „არსენალმა" ჩემპიონატის ბოლო რვა მატჩიდან მხოლოდ ორში იმარჯვა, თანაც ბოლო ოთხ ტურში სამჯერ დამარცხდა. ფაქტები ბევრ რამეზე მეტყველებენ, უშედეგობის მიზეზზე კი უკვე ვთქვით.

რაიტი თავდაპირველად მარტო მოქმედებდა. მერე სხვა ინგლისელებიც რომ აიყოლია, იფიქრა, საქმე გავჭარხე და ეგააო, მაგრამ მას მახვილი სწორედ თანამემამულეებმა ჩასცეს. ცხადია, არა უმიზეზოდ. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ იან რაიტი ორი თამაშით ჩამოაშორა ფეხბურთს — 28 დეკემბერს, ჩემპიონატის მორიგ ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემის" წინაალმდეგ და 3 იანვარს, ქვეყნის თასზე „პორტ ვეილთან". სასჯელმა გუნდში ეროვნებათშორის კონფლიქტის გამღვივებელი რაიტი აღაშფოთა, მიხვდა, რომ „არსენალში" მის ძირითად ფორვარდობას წყალი შეუდგა.

— ფეხბურთლები თითქოს ბანაკებად დაიყვნენო, ერთმანეთთან პირქუშად არიან. მიზეზი, როგორც ვხვდები, სრულიად უაზროა. გუნდში ხუთი თანამემამულე კი მყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი თამაშობს. დააკვირდით და მიხვდებით, რომ ძირითადში ადგილი მხოლოდ პეტის და ვიეირს აქვთ. დანარჩენები ფორმის და საჭიროების მიხედვით თამაშობენ. რაც შეეხება რაიტს, მისი საქციელი სასაცილოა. მიზეზს ალბათ თავადაც ხვდებით — იანი 34 წლისაა და საფეხბურთო სიბერის ეშინია. მით უმეტეს, კონკურენტები მრავლად ჰყავს — ეს ვენგერის სიტყვებია, ორშაბათს, „უიმბლდონთან" თამაშამდე ნათქვამი.



არსენ ვენგერი

მოგვიანებით, უკვე მეცხრამეტე ტურის ბოლო მატჩის შემდეგ ვენგერი რაიტს მონანიებისკენ მოუწოდებს, მაგრამ უკვე გვიანაა — კლუბმა რაიტისადმი ფეხბურთის ასოციაციის საახალწლო რისხვას თავისი სასჯელიც დაამატა — ფეხბურთელთა შორის შუღლის ჩამგდები გვარიანი თანხით დასაჯა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია „CROCO"

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური

27 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — მოზერველი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| დანფერმლაინი — ჰართსი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ჰიბერნიანი — კილმარნოკი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| სტ. ჯონსტონი — სელტიკი | 4,4 | 3,3 | 1,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXI ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — დერბი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ბლექბერნი — კრისტალ პალასი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ქოვენთრი — მანჩესტერ იუნაიტედი | 4,4 | 3,0 | 1,6 |
| ევერტონი — ბოლტონი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლიდსი — ასტონ ვილა | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ლესტერი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ნიუკასლი — ლივერპული | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| საუთჰემპტონი — ჩელსი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ტოტენჰემი — არსენალი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| უიმბლდონი — ვესტ ჰემი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXV ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ტრანმერი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ბრედფორდი — ჰადერსფილდი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| ბერი — ქრიუ | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| მანჩესტერ სიტი — ნოტინგემი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| მიდლსბრო — სტოკპორტი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ნორვიჩი — პორტსმუთი | 1,4 | 3,4 | 5,3 |
| ოქსფორდი — სანდერლენდი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| პორტ ვეილი — ვულვერჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ქუინზ პარკი — რედინგი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ჩარლტონი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| სვინდონი — იფსვიჩი | 1,45 | 3,2 | 5,3 |
| ვესტ ბრომვიჩი — სტოკი | 1,3 | 3,6 | 6,5 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XV ტური

28 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვარზიმი — სალგეირუში | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| პორტუ — ბენფიკა | 1,45 | 3,1 | 5,6 |
| ამადორა — ბოავიშტა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლეცა — გიმარაეში | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| კამპომაიორენსე — შავეში | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| სეტუბალი — ფარენსე | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| აკადემიკა — ბრაგა | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| რიუ ავე — სპორტინგი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბელენენსეში — მარიტიმუ | 2,0 | 2,9 | 2,9 |

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2,2 | ჩელსი | 2,2 | ინტერი | 1,7 |
| იუვენტუსი | 2,8 | შტუტგარტი | 2,5 | აიაქსი | 2,5 |
| რეალი | 3,0 | ვიჩენცა | 2,5 | ლაციო | 3,0 |
| ბაიერნი | 4,0 | ბეტისი | 4,0 | ატლეტიკო | 4,0 |
| დორტმუნდი | 6,0 | აეკ | 7,0 | ასტონ ვილა | 7,0 |
| ლევერკუზენი | 8,0 | სლავია | 15,0 | შალკე | 10,0 |
| მონაკო | 8,0 | ლოკომოტივი | 20,0 | ოსერი | 15,0 |
| დინამო | 10,0 | როდა | 20,0 | სპარტაკი | 30,0 |

### ეროვნული ჩემპიონატები:

| იტალია | | ინგლისი | | გერმანია | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1,5 | მანჩესტერი | 1,3 | ბაიერნი | 1,5 |
| იუვენტუსი | 2,5 | ჩელსი | 2,5 | კაიზერსლაუტერნი | 1,9 |
| მილანი | 5,0 | ბლექბერნი | 4,0 | შტუტგარტი | 7,0 |
| პარმა | 8,0 | ლივერპული | 4,0 | ლევერკუზენი | 7,0 |
| რომა | 8,0 | არსენალი | 7,0 | | |
| ლაციო | 8,0 | ნიუკასლი | 8,0 | | |

| საფრანგეთი | | შვეიცარია | | თურქეთი | |
|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 2,0 | გრასჰოპერი | 1,1 | ფენერბაჩე | 1,4 |
| მონაკო | 2,0 | ლოზანა | 5,0 | ტრაბზონსპორი | 3,0 |
| მარსელი | 5,0 | სერვეტი | 5,0 | გალათასარაი | 3,0 |
| მეცი | 5,0 | არაუ | 8,0 | ბეშიქთაში | 4,0 |

| ბელგია | | შოტლანდია | | ავსტრია | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 1,01 | რეინჯერსი | 1,4 | შტურმი | 1,02 |
| გენკი | 8,0 | სელტიკი | 2,2 | რაპიდი | 5,0 |
| ანდერლეხტი | 8,0 | ჰართსი | 8,0 | გრაცერი | 8,0 |

| ესპანეთი | | ჰოლანდია | | პორტუგალია | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1,7 | აიაქსი | 1,01 | პორტუ | 1,05 |
| რეალი | 1,7 | ეინდჰოვენი | 8,0 | ბენფიკა | 4,0 |
| ატლეტიკო | 8,0 | ფეიენოორდი | 9,0 | სპორტინგი | 6,0 |

ნებისმიერი სხვა გუნდი, რომელიც სიაში არ არის — 10,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

**1997 წლის ბოლო სამუშაო დღე 30 დეკემბერია. საშობაო-საახალწლო არდადეგების მერე მუშაობა 9 იანვარს განახლდება.**




**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი „მზიური" გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრაქტიკული სამსახურისაკენ

მისამართი: ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, №37

(„მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)

ტელ: 29-48-61, 23-53-17, 29-48-69 ფაქსი: 29-49-61

